შეტყობინების მოთხოვნები

კონცენტრაციად მიიჩნევა ისეთი ტრანზაქცია, როდესაც ხდება:

- ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი შერწყმა;
- ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება, სხვა ეკონომიკური აგენტის მიერ;
- ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

სააგენტოში კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენა სავალდებულოა, თუ დაცულია ორივე პირობა:

- ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წლიური ბრუნვა კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს;

და

- კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

შეტყობინებების წარდგენის ფორმა:

კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ფორმა დამტკიცებულია სააგენტოს მიერ და ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე
https://gnca.gov.ge/public/application-forms

შეტყობინების განხილვის საფასური:

კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.

პროცედურა და ვადები

შეტყობინების წარმოდგენის ვადა:

შეტყობინება სააგენტოში უნდა იქნეს წარმოდგენილი კონცენტრაციის განხორციელებამდე/ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

შეტყობინების განხილვისთვის გათვალისწინებულია ორფაზიანი წარმოება

- **ფაზა 1 - მარტივი ფაზა**

  შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების შემდეგ იწყება პირველი ფაზა, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 25 სამუშაო დღეს.

  თუ კონცენტრაცია არ არის კომპლექსური ან/და სააგენტო აპირებს დადებითი გადაწყვეტილების მიღებას, შეტყობინების განხილვა მთავრდება პირველ ფაზაში და გამოიცემა დადებითი გადაწყვეტილება.

- **ფაზა 2 - რთული ფაზა**

  როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა, კონცენტრაცია არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან ან საკითხი საჭიროებს დამატებით ანალიზს, სააგენტო გამოსცემს ბრძანებას განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ და იწყება მეორე ფაზა, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 90 კალენდარულ დღეს.

სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები:

როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა, კონცენტრაცია არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან, მხარეებს აქვთ საშუალება, სააგენტოს შესთავაზონ დაგეგმილი ოპერაციის ცვლილება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების აღების გზით.

ჯარიმები

კონცენტრაციის მარეგულირებელი ნორმების დარღვევა

შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს დაეკისრება ჯარიმა, წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-მდე, თუ:

- სააგენტოში არ წარმოადგენს შეტყობინებას;
- სააგენტოს მიერ საკითხის განხილვამდე განახორციელებს კონცენტრაციას;
- სააგენტოს უარყოფითი დასკვნის მიუხედავად განახორციელებს კონცენტრაციას.

თუ კონცენტრაცია უკვე განხორციელებულია და სააგენტო გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, სააგენტო მიმართავს სასამართლოს და ითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება:

იწვევს იურიდიულ პირის დაჯარიმებას 3 000 ლარით (განმეორება - 5 000 ლარი), ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – 1 000 ლარით (განმეორება - 3 000 ლარი).

სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შეუსრულებლობა:

იწვევს პირის დაჯარიმებას, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არაუმეტეს წინა ფინანსური წლის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ისა (ფიზიკური პირის შემთხვევაში - 500 ლარი).

ჯარიმის დაკისრების პარალელურად სააგენტო მიმართავს სასამართლოს და ითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

032 244 07 70

www.gnca.gov.ge info@gnca.gov.ge

თბილისი, აღმაშენებლის გამზირი #154

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

TWINNING

საინფორმაციო ბროშურა

საქართველოში კონცენტრაციების კონტროლის შესახებ

VVTAT

CPVA

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

COMPETITION COUNCIL OF THE REPUBLIC OF LITHUANIA

Federal Competition Authority